საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1500/01
18/02/2021

1500-01-2-202102181822

შპს „ბორჯომჰესს“

მის: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N6/10

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, თქვენ მიერ სამინისტროში წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით (N18370), რომელიც ეხება ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. ბორჯომულაზე 11,79 მგვტ დადგმული სიმძლავრის „პლატოჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტს, გაცნობებთ შემდეგს:

სკოპინგის ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია საპროექტო ჰესის განთავსების ტერიტორიასთან მიმართებით ბორჯომის მინერალური წყლის საბადოების სანიტარიული ზონების შესახებ.

გაცნობებთ, რომ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სსიპ ,,წიაღის ეროვნული სააგენტოდან" გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია საპროექტო „პლატოჰესის“ კომუნიკაციებისა და პროექტისთვის საჭირო ტერიტორიების მიმდებარედ სალიცენზიო ობიექტების მდებარეობისა და მათი დაცვის ზონების შესახებ. ზემოაღნიშნულის თანახმად, სსიპ ,,წიაღის ეროვნული სააგენტოდან" სამინისტროს წერილობით (N22/8834) ეცნობა, რომ საპროექტო ტერიტორია ნაწილობრივ კვეთს ბორჯომის მინერალური წყლის საბადოს (ლიც. #10001755) სანიტარიული დაცვის მეორე (შეზღუდული რეჟიმის) ზონას, რომლის პროექტი შედგენილია ლიცენზიის მფლობელის შპს „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანის“ მიერ.

ამასთან გაცნობებთ, რომ „IDS ბორჯომი საქართველოს“ მიერ სამინისტროში წარმოდგენილ იქნა წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ მდ. ბორჯომულა კვეთს მათი კუთვნილი ლიცენზიებით მოსაპოვებელი წყლების მეორე და მესამე სანიტარიული დაცვის ზონებს, სადაც ჰესის მშენებლობამ შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბორჯომისა და დაბის მინერალური წყლის მარაგებზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტროს მიერ ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, დამატებით იქნა გაგზავნილი სსიპ ,,წიაღის ეროვნულ სააგენტოში" წერილი, პროექტის ალტერნატიული და შერჩეული ვარიანტების საბადოს სანიტარიულ დაცვის ზონაში მდებარეობასა და შესაბამისი სანიტარიულ დაცვის ზონებში მოქმედ შეზღუდვებთან დაკავშირებით.

სსიპ ,,წიაღის ეროვნული სააგენტოს" წერილით (N 22/365) სამინისტროს ეცნობა, რომ საპროექტო ტერიტორიის ნაწილი - მარცხენა გვირაბი და ალტერნატიული ვარიანტი მდებარეობს ბორჯომის მინერალური წყლის საბადოს და დაბის მტკნარი წყლის საბადოს

მეორე (შეზღუდული რეჟიმი) ზონებში. აგრეთვე მარცხენა გვირაბი, ალტერნატიული ვარიანტი, სანაყარო, მარჯვენა გვირაბი, გზები, ჰესის შენობა, მილსადენი, სამშენებლო ბაზა, სანაყარო და სათავე ნაგებობა მდებარეობს, ბორჯომის მინერალური წყლის საბადოს მესამე (სამეთვალყურეო ზონა) სანიტარიულ ზონაში.

გთხოვთ, ერთ თვის ვადაში უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის სამინისტროში განსახილველად წარმოდგენა. ზემოაღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენამდე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი: წერილი N 547 (22/365)

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე